ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95231815**

თარიღი:**30/06/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა თანახმად დანართი №1-სა.

2.დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №g-95.95231184 განკარგულება.

4.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

6.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი